

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო  
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ \_\_\_\_\_

ქალაქი ქუთაისი 31 იანვარი 2024 წელი

„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციისა და  
სარგებლობაში გასაცემი ობიექტების გეგმის დამტკიცების შესახებ“  
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 29 მარტის  
№177 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის „ე.დ“ ქვეპუნქტის, საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 63-ე მუხლისა და „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დალგენილების 22-ე მუხლის მეორე პუნქტის შესაბამისად:

**მუხლი 1.** შეტანილ იქნეს ცვლილება „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციისა და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 29 მარტის №177 განკარგულებაში. კურძოდ, ქონების პრივატიზაციისა და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების გეგმას დაწარმოს №241-№246 პუნქტებით თანდართული რედაქციით.

(დანართი განკარგულებას თან ერთვის)

**მუხლი 2.** კონტროლი განკარგულების შესრულებაზე განახორციელოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიამ.

**მუხლი 3.** განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ვ.კუპრაძის ქუჩა №11), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

**მუხლი 4.** განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მეორე

იმსებ სახალენშვილი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქუჩების პროგრამისა და  
სარგებლობაში გასავავი იმიტების გაცემა

№	ქუჩების დასახელება	მისამართი	ფართისა (კვ.მ.)	სარტყეს- ტრიტო ნომერი	საწილი საპროცესუარ- ზებრ საფა- სური (ლარი)	აუტომანით განვაწყვეტს ფორმის (პროცესის ან უპირობელ)	სრული დარღმულების გადახდის სავარაუდო უკორონების ანდა ჰერიკოლება	
							1	- 2
1	- 2	3	4	5	6	7	8	
241	არასასოფლო-სამუშაოების დანიშნულების მიწის ნაკვეთი	ქალაქი ქუთაისი, ნოკას ქუჩა №42ა-სა და აღმოსავლეთით	86.0	03.05.22.674	(1 კვ.მ.-ზე)	160.0	უპირობელ	ნაყიდების ხელშეკრულების გაფორმებითან 15 კლუნდარული დაი.
242	არასასოფლო-სამუშაოების დანიშნულების მიწის ნაკვეთი	ქალაქი ქუთაისი, ფათას ქუჩა №11-ის სამხრეთით	856.0	03.06.21.810	(1 კვ.მ.-ზე)	130.0	უპირობელ	ნაყიდების ხელშეკრულების გაფორმებითან 15 კლუნდარული დაი.
243	არასასოფლო-სამუშაოების დანიშნულების მიწის ნაკვეთი	ქალაქი ქუთაისი, კრისტიანის ქუჩის მიმდებარებ	345.0	03.02.24.764	(1 კვ.მ.-ზე)	55.0	უპირობელ	ნაყიდების ხელშეკრულების გაფორმებითან 15 კლუნდარული დაი.
244	არასასოფლო-სამუშაოების დანიშნულების მიწის ნაკვეთი	ქალაქი ქუთაისი, ჰერმინ გმინერის ქუჩა №2-ის აღმოსავლეთით	მიწა - 3115 33.9 შენობა-ნაგებების №1-№20	03.06.27.197	350 500.00	უპირობელ	ნაყიდების ხელშეკრულების გაფორმებითან 15 კლუნდარული დაი.	
245	არასასოფლო-სამუშაოების დანიშნულების მიწის ნაკვეთი	ქალაქი ქუთაისი, ილია ჭავჭავაძის გმინერი №533 შენობა-ნაგებებით	მიწა - 744 33.0 723.51.33.0	03.04.30.184	1 387 500.00	უპირობელ	ნაყიდების ხელშეკრულების გაფორმებითან 15 კლუნდარული დაი.	
246	არასასოფლო-სამუშაოების დანიშნულების მიწის ნაკვეთი	ქალაქი ქუთაისი, შენობა-ნაგებებით	მიწა 107,7033.0; -28,18.33.0	03.05.05.011	10 400.00	უპირობელ	ნაყიდების ხელშეკრულების გაფორმებითან 15 კლუნდარული დაი.	

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მუნიციპალიტეტის  
საკონტროლო და გადავითი მინისტრის განცხადების  
მისამართი

თელეფონი

„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციისა და  
სარგებლობაში გასაცემი ობიექტების გეგმის დამტკიცების შესახებ“,  
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის  
29 მარტის №177 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

### განმარტებითი ბარათი

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის „ე.დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, მუნიციპალიტეტის საკრებულოს უფლებამოსილებას მიეკუთვნება მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების გეგმის დამტკიცება. ასევე, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების 22-ე მუხლის მეორე პუნქტის შესაბამისად, მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობით. აღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია, განხორციელდეს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციისა და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 29 მარტის №177 განკარგულებაში შესაბამისი ცვლილებების შეტანა. განკარგულების დანართში მითითებული უძრავი ქონების, სარგებლობაში და საპრივატიზაციო ობიექტების გეგმაში დამატების შემთხვევაში, მათი პრივატიზაციის ან სარგებლობაში გაცემის შემდგომ, მოხდება დამატებითი შემოსავლების მიღება.

განკარგულების პროექტს საკრებულოს სხდომაზე წარადგენს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელი თინათინ ბერიშვილი.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

იოსებ ხახალეიშვილი